

ქ.თბილისი

2018 წლის 1 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 1 აპრილს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა, კომისიის წევრის ედუარდ ნაჭყებიას მიერ, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის გამო, კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად. ამის გამო, არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის სხდომის თავმჯდომარე ედუარდ ნაჭყებია.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარის დ. შუბითიძის განცხადება და მსაჯების - საბა აბულაშვილის და პაპუნა ჭიქაბერიძის მოხსენებითი ბარათები, ამა წლის 11 მარტს, „პირველი ლიგი“-ს მატჩზე, ქუთაისის „არესი“-სა და ბოლნისის „ყოჩები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ბოლნისის „ყოჩები“-ს მწვრთნელის, ა. ცინცაძის მხრიდან, მოხდა აგრესიული, არაეთიკური და არასპორტული საქციელის გამოვლენა მატჩის ოფიციალურ პირთა (მთავარი (ს. აბულაშვილის) და გვერდითი (ჭიქაბერიძის) მსაჯის) მიმართ.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.1. პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ბოლნისის „ყოჩები“-ს მწვრთნელი ა. ცინცაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი „ყოჩები“ დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 1 მაისამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის სხდომის თავმჯდომარე

 /ედუარდ ნაჭყებია/